სააქციო საზოგადოება "ნიკორა"-ს (ს/კ 200050675)
<u>აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრების ოქმი #25/07/2025-1</u>

აქციონერთა კრება გაიმართა 2025 წლის 25 ივლისს წესდებით გათვალისწინებული წესით.

კრების ჩატარების ადგილი: ქ.თბილისი, ა.მრევლიშვილის N2
კრების დაწყების დრო: 14:00 საათი

აქციონერთა მორიგი საერთო კრების კენჭისყრის შედეგები

დღის წესრიგი:

- სს ,,ნიკორას" ჩვეულებრივი კლასის აქციების მფლობელ აქციონერებზე, დივიდენდის განაწილება.
- სს ,,ნიკორას" მიერ ფასიანი ქაღალდების (ობლიგაციები) გამოშვება/განთავსება.

დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებზე, გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ერთხმად, დამსწრე კაპიტალის (აქციათა) 88.3485%-ს ხმის უფლების მქონე 5 470 875 ცალი აქციის მესაკუთრე აქციონერთა გადაწყვეტილებით, კერძოდ:

1. 2025 წლის აქციონერთა პირველ საერთო კრებაზე მიღებული გადაწყვეტილების მიხედვით გაგრძელდეს ჩვეულებრივი კლასის აქციონერებზე დივიდენდის განაწილება.
2. ნება დაერთოს სს „ნიკორა"-ს განახორციელოს არაუმეტეს 120 000 000 (ას ოცი მილიონი) ლარის ნომინალური ღირებულების კუპონიანი ობლიგაციების გამოშვება/განთავსება/გაყიდვა საჯარო შეთავაზების გზით ერთიანად ან ნაწილ-ნაწილ, ეტაპობრივად. სს ,,ნიკორა"-ს გენერალურ დირექტორს მიეცეს უფლებამოსილება განსაზღვროს ემისიის პირობები (მათ შორის ობლიგაციების რაოდენობა, თითოეულის ნომინალური ღირებულება, დაფარვის ვადა, კუპონის პროცენტის ოდენობა, გამოშვება-განთავსების პერიოდულობები და ყველა სხვა საჭირო პირობა) და უზრუნველყოს მათი განთავსება თავად ან/და უფლებამოსილი წარმომადგენლის/კონტრაქტორის/განთავსების აგენტის მეშვეობით, ასევე განახორციელოს ყველა საჭირო მოქმედება, ხელი მოაწეროს ნებისმიერ შეთანხმებას/ხელშეკრულებას ან დოკუმენტს, რომელიც აუცილებელია ამ ოქმით მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე ფასიანი ქაღალდების გამოშვებისა და განთავსებისათვის, მათ შორის, ფასიანი ქაღალდების „საქართველოს საფონდო ბირჟის" სავაჭრო სისტემასა და შესაბამისი კატეგორიის ლისტინგში, აგრეთვე სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარის სისტემაში დასაშვებად.